# შეგახსენებთ,

25 მაისს თბილისში ჩატარდება ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი

# მძლეოსნური გარბენი

სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით გარბენში დაწესებულია ჯილდოები, რაც არ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ ანალოგიურ შეჯიბრებათა საპრიზო ფონდს. ყველაზე დიდი ჯილდოა მსუბუქი ავტომობილი „ჟიგული“. მშობელთა თხოვნით გარბენს დაემატა კიდევ ერთი ასაკობრივი ჯგუფი — 1976-1978 წლებში დაბადებულთათვის.

ორგკომიტეტი იუწყება: სამანდატო კომისია ჩატარდება 21, 22 და 24 მაისს, 10-დან 18 საათამდე მძლეოსნობის მანეჟში (ი. ჭავჭავაძის 49-ა). არათბილისელთა განაცხადებს მიიღებენ გარბენის დღესაც, 25 მაისს, 10-დან 15 საათამდე. გარბენი დაიწყება 18 საათზე.

# „მერანის“ შარა გრძელი

თითქმის შვიდი წელია, რაც ქართულ სპორტულ გამოცემებს საჭადრაკო ორგანო — „მერანი“ შეემატა. თავიდან იგი უინდექსოდ გამოდიოდა, მხოლოდ საცალო ვაჭრობით ვრცელდებოდა. წელს გაზეთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა. დამტკიცდა დებულება, დამუშავდა ყველა შესაძლო ვარიანტი და საბოლოოდ გადაწყდა, რომ „მერანი“ იქნება „ლელოსთან“ არსებული დამოუკიდებელი პერიოდული საჭადრაკო გამოცემა იურიდიული პირის ყველა უფლებით.

საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკში გაიხსნა ანგარიში № 100609529. უფრო ადრე „მერანს“ მიენიჭა ინდექსი (66429), მისი გამოწერა ახლა შეუზღუდავია. „მერანის“ რედაქცია უღრმეს მადლობას უხდის საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკის მმართველს ბატონ შოთა ჩხეიძეს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და გაზეთ „ლელოს“ რედაქციას დახმარებისათვის.

მაგრამ გაჩნდა ახალი სირთულეები, კერძოდ ფინანსური. გაზეთს, ძვირფასო მკითხველებო, მოჭადრაკეებო და ჭადრაკის მოყვარულებო ესაჭიროება თქვენი კონკრეტული დახმარება. გეტყვით იმასაც, რომ „მერანს“ შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე სპონსორი, რომლის უფლება აქვს როგორც ინდივიდუალურ პირებს, ისე კოლექტივებს, კოოპერატივებს, წარმოება-დაწესებულებებსა და ა. შ.

ზემოაღნიშნული პრობლემების გამო მოხდა, რომ „მერანის“ სპეციალური გაერთიანებული ნომერი (4-5), რომელიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის იუბილეს მიეძღვნა, დაგვიანებით გამოვიდა. ნომერში იხილავთ ნონა გაფრინდაშვილის ცხოვრებისა და საჭადრაკო მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მრავალფეროვან მასალებს.

გაზეთმა გადაწყვიტა, სპეციალური პრიზი დააწესოს ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირისათვის. პრიზის პირობის შერჩევა რედაქციამ თავად ქალბატონ ნონას სთხოვა. მან ამ დღეებში რედაქციას თავისი გადაწყვეტილება აცნობა. ქალბატონი ნონას პირობა ასეთია: „მერანის“ სპეციალური პრიზი მიენიჭება იმ მოჭადრაკეს, რომელსაც ყველაზე მეტი დრო ექნება საჭადრაკო დაფასთან დახარჯული“.

დაგვეთანხმებით, პირობაც მეტად ორიგინალურია. პრიზს თავად იუბილარი გადასცემს მფლობელს.


# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

18 მაისი, შაბათი, 1991 წ.
№ 91 (10 504) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# „ცინას“ და „ნარინჯის“ ორმაგი სიხარული

დამთავრდა შესარჩევი თამაშები მინიფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქვეჯგუფებში. მკითხველი აქრე გაეცნო თბილისის, რუსთავის და ლანჩხუთის ტურების შედეგებს, ამჟამად ფოთის ტურზე გესაუბრებით.

უმაღლეს ლიგაში ამ ქვეჯგუფიდან თბილისის „ცინა“ და ნატანების „ნარინჯი“ გადავიდა. ქვეჯგუფიდან დამატებითი ტურნირისათვის საგზურები მოიპოვეს ოჩამჩირის „ოჩამჩირემ“ და ქუთაისის „მედიკოსმა“.

15 მაისს ბათუმიდან კიშინიოვში ტურნირზე გაემგზავრა საქართველოს მინიფეხბურთელთა ორი გუნდი — თბილისის „ცინა“ და ნატანების „ნარინჯი“. დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტი ნოდარ წულაია.

კიშინიოვის ტურნირზე, როგორც მოლდოველებმა გვაცნობეს, მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის, ლონდონის, ბულგარეთის-2, სვერდლოვსკის-2, მოსკოვის და კიშინიოვის გუნდები.

სოხუმის „შუქურა“ და ხონის „ოკანე“ არ ჩამოვიდნენ ლანჩხუთის ტურში მონაწილეობის მისაღებად: მიზეზს საქართველოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაციის გამგეობა უახლოეს სხდომაზე განიხილავს.

ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

# რჩება ხუთი პრეტენდენტი

**მეცხრე ტური. არახამია-იოსელიანი 0:1, გურგენიძე-ჩიბურდანიძე 0:1, ჯანჯღავა-ზაიჩიკ 1:0, ეფიმოვ-გაფრინდაშვილისა და კახიან-გიორგაძის პარტიები გადაიდო. სტურუა არ თამაშობდა.**

ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი სტურუა ამჯერად თამაშიდან თავისუფალი იყო. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ მას ამდენი მდევარი დაეწეოდა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

გურგენიძე ადრე კარგა ხანს თანამშრომლობდა ჩიბურდანიძესთან, ასე რომ, ძალიან კარგად იცნობს მისი თამაშის თავისებურებებს. ვეტერანი, როგორც ყოველთვის, მოქმედებდა არა თეორიის რეკომენდაციის მიხედვით, არამედ თავისებურად, მხოლოდ მისთვის ნაცნობ გზებს მიჰყვებოდა. რაც შეეხება ჩიბურდანიძეს, იგი, როგორც უკვე ვწერდით, თანდათან გახალისდა. ასეთ დროს მასთან თამაში ძალიან ძნელი ხდება. ეს ასეც უნდა იყოს — მსოფლიო ჩემპიონი ხომ სულ ორია. გურგენიძე შეეცადა თავისი ძალებისათვის თავი მოეყარა მეფის ფრთაზე და დაეწყო პირდაპირი იერიში.ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა.. ჩემპიონი დაეუფლა ცენტრალურ ღია ხაზს, რასაც სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და გაიმარჯვა. შეადარეთ ახლა ჩიბურდანიძის შედეგები სტარტის „მონაპოვარს“, როცა მას 3 შესაძლებლიდან მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა! მაიას ახლანდელი შედეგი, რა თქმა უნდა, აღიარების ღირსია და იგი ინარჩუნებს პირველი ადგილისათვის ბრძოლის ჩინებულ შესაძლებლობებს. ისიც ვთქვათ, რომ სტურუა ფინიშზე ვაჟებს ხვდება, ჩიბურდანიძე უფრო ნაცნობ სიტუაციაში აღმოჩნდება — მისი მეტოქეები ქალები იქნებიან. ერთი საკმაოდ თავისებური ამბავიც, რაც მონაწილეთა თითქმის გათანაბრებულ კლასზე მეტყველებს — უკანასკნელს პირველ ადგილზე მყოფი უსწრებს... სულ ორი ქულით!

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ადგილის კიდევ ერთი პრეტენდენტის — ჯანჯღავას შეხვედრას ზაიჩიკთან. მწვავე, ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე პოზიციაში ზაიჩიკმა გადააცილა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს და წაგება ჩაეთვალა. ახლა ჯანჯღავას შესაძლებლობები, იბრძოლოს პირველი პრიზისთვის, აშკარად გაუმჯობესდა. ეფიმოვმა უკეთესი პოზიცია მიიღო გაფრინდაშვილთან. მისი კიდურა გამსვლელი პაიკი დაიძრა წინ, რომლის შეჩერებას გარკვეული ყურადღება სჭირდებოდა. ამავე დროს თეთრებმა ხარისხიც მოიგეს. პარტია გადაიდო. კახიან-გიორგაძის პარტიაში შეიქმნა თავისებური პოზიცია. დიდოსტატი ქალი ლაზიერით, ეტლითა და მხედრით დაემუქრა თითქოსდა არასაკმარისად დაცულ შავების მეფეს. გიორგაძე თამაშს სხვა შესაძლებლობაზე აგებდა: იგი იმედოვნებდა, რომ მოიგერიებდა ამ შეტევას, შემდეგ კი პარტიის ბედს მისი ძლიერი გამსვლელი პაიკი გადაწყვეტდა ლაზიერის ფრთაზე. პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში, რომელიც დეტალურ შესწავლას მოითხოვს. იოსელიანმა ცენტრში ძლიერი გამსვლელი პაიკები აამოძრავა. იგივე გააკეთა არახამიამ მეფის ფრთაზე. ძლიერ ორმხრივ ცაიტნოტში არახამიას მძიმე შეცდომა მოუვიდა, წააგო ეტლი და დანებდა. ახლა ტურნირში არცერთი მონაწილე აღარ დარჩენილა, რომელსაც თუნდაც ერთი გამარჯვება არ მოეპოვებინოს, დაუმარცხებელი კი მხოლოდ ერთი — ჯანჯღავა რჩება.

რა შეიძლება ითქვას პირველი ადგილის პრეტენდენტების შესახებ?

ჩვენი აზრით, ასეთი ხუთია. თუმცა სჯობს, მკითხველი თვით გაეცნოს გათამაშების ცხრილს, დამოუკიდებლად იმსჯელოს პრიზის მაძიებელთა შესაძლებლობების შესახებ.

ახლა 5-5 ქულა მოაგროვეს ჩიბურდანიძემ, სტურუამ და ჯანჯღავამ, რომელთაც ორ-ორი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი. ისიც აღსანიშნავია, რომ ლიდერები ერთმანეთს უკვე აღარ ხვდებიან. ამ სამ პრეტენდენტს შეიძლება ეფიმოვიც შეუერთდეს, რომელსაც 4 ქულა და ერთი, უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს. კიდევ ერთი პრეტენდენტია გიორგაძე, რომელსაც 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ დაამთავრებს იგი ამ გადადებულ პარტიებს — ორივე მწვავე სათამაშო პოზიციებშია გადადებული და, როგორც იტყვიან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

დანარჩენი მონაწილეები, შეიძლება თამამად ითქვას, უკვე აღარ იბრძვიან მაღალი საპრიზო ადგილებისათვის. გურგენიძესა და კახიანს 3.5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. მათ მხოლოდ თითო შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი. არახამიამ 3,5 ქულა მოაგროვა, 3 ქულა აქვს გაფრინდაშვილს და ერთი გადადებული პარტიაც. 3-3 ქულა აქვთ იოსელიანსა და ზაიჩიკს. ყველა ეს მონაწილე, რა თქმა უნდა, სატურნირო მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის იბრძოლებს. ამის შესაძლებლობა მათ ჯერ კიდევ რჩებათ.

მაშ ასე, ორიოდე დღეც და შეივსება სატურნირო ცხრილის ყველა უჯრედი.

ბიჟი ბამრეკელი



ნანა იოსელიანი (მარცხნივ) — ქეთევან კახიანი.

## საქართველოს რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების დამფუძნებელი ყრილობების ჩატარების განრიგი მაისისათვის

**20. წყალბურთი** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 11 სთ.
**20, ძალოსნობა** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**21. ნიჩბოსნობის სპორტის სახეობები და საიალქნო სპორტი** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 12 სთ.
**21. ძიუდო** (ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**22. ქართული ჭიდაობა** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 11 სთ.
**22. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** (ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**23. მძლეოსნობა** (ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბი) 12 სთ.
**24. ტანვარჯიში** (ვიცე-პრეზიდენტის არჩევა, ტანვარჯიშის კომპლექსი, სანაპიროზე) 13 სთ.
**24. სამბო** (ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**25. წყლის თხილამურები.** ქ. ფოთი.
**27. რაგბი** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**28. ფარიკაობა** (ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი) 11 სთ.
**28. თავისუფალი ჭიდაობა** (ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი) 15 სთ.
**29. მაგიდის ჩოგბურთი** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 13 სთ.
**30. ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთჭიდი** (დეპარტამენტის სხდომათა დარბაზი) 12 სთ.
**31. ზამთრის სპორტის სახეობები** (ალპიური კლუბი) 11 სთ.
**31. წყლის სპორტის სახეობები** (საცურაო აუზის კლუბი, სანაპიროზე) 15 სთ.
**31. ბალახის ჰოკეი.** ქ. ქუთაისი.

## სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები

**გაიმართა** საქართველოს კრივის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია [illegible] ფიზალზრდის კათედრის გამგე, ევროპის ექსჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე. გენერალურ მდივნად — ზურაბ კიკნაველიძე. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი [illegible] თიასი.

# საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება

**ერთი** თვეა, რაც შეიქმნა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (სჟა) — დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტებს და თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს ემსახუროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს ინტერესებს, ქართული სპორტის აღმავლობას, საერთაშორისო სპორტულ სამყაროსთან კონტაქტების გაფართოებას, დიდ სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლას.

ახალი პოლიტიკური ვითარების პირობებში შესაძლებელი გახდა, რომ ქართულ სპორტს საბოლოოდ დაეხსნა თავი საბჭოთა სპორტის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემისაგან და მტკიცედ დადგომოდა საერთაშორისო ასპარეზისკენ მიმავალ გზას. არჩევანი გაკეთებულია და დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს დიდი სპორტული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობა ახალ სიმაღლეზე აიყვანს საქართველოს სპორტულ მოძრაობას, ფართოდ წარმოაჩენს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ პოტენციალს. რა თქმა უნდა, ამავე დროს ვითვალისწინებთ მოსალოდნელ დროებით დაბრკოლებებს და სპორტული პრესის როლს მათი დაძლევის საქმეში. საქართველოს სპორტული ჟურნალისტები მზად არიან გაერთიანებული ძალებით კვლავაც გვერდში დაუდგნენ ქართულ სპორტს დიდი მიზნისთვის ბრძოლაში, მხარი დაუჭირონ საღ აზრსა და ინიციატივას, მიუკერძოებლად და ობიექტურად ასახონ სპორტული ცხოვრების სინამდვილე. სჟა ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, მტკიცედ იცავს სპორტულ ჟურნალისტთა უფლებებსა და ინტერესებს, დაუშვებლად მიაჩნია „ზემოდან“ ჩარევა და უწყებრივი დიქტატი.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანასწორუფლებიან საფუძველზე აქტიურად ითანამშრომლებს სპორტულ და სხვა ორგანიზაციებთან, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შემოქმედებით კავშირებთან, იზრუნებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გახდეს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრი და მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას აუწყოს ქართული სპორტის სამართლიანი და კანონიერი მისწრაფება, ფართოდ წარმოაჩინოს თავისი სპორტის სახელოვანი ისტორია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ძალების მობილიზებით, რესპუბლიკის მთავრობისა და დაინტერესებულ ორგანიზაციათა თანადგომით შეძლებს დასახული მიზნების განხორციელებას.

საქინფორმი.

ალმზრდელის კვალი

# „რატომღაც წარმოუდგენიათ, რომ ჭიდაობას მარტო ფეხის გამოკვრა უნდა“

**ქართველ მოჭიდავეთა სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მათ მიერ განვლილი გზა ტრიუმფალურია, მოპოვებული ჯილდოები — აურაცხელი. წლების მანძილზე ბეჭდაუდებელმა ფალავნებმა სახელი და დიდება შესძინეს ქართულ საჭიდაო სკოლას. დამაშვრალ ენთუზიასტთა შორისაა საქმის ერთგული და ულალატო კაცი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი როსტიაშვილი, თავის დროზე სანაქებო მოჭიდავე და მრავალი სახელოვანი ფალავნის ალმზრდელი.**

გიორგის მამა არ ახსოვს, 1924 წელს დაუპატიმრებიათ და დაუხვრეტიათ. დიდედისაგან გაუგონია, კარგი მოჭიდავე იყოო. ჰოდა, გადაწყვიტა მამას დამსგავსებოდა. ეს სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერდა, რაც ნახერხმოყრილ სარბიელზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების თანასოფლელ პოხრო პაპიაშვილისა და გიორგი ბასიაშვილის ჭიდაობა იხილა. მათი ორთაბრძოლებით აღფრთოვანებულს, თავადაც არაერთხელ უცდია თანატოლებთან ჭიდილში მკლავისა და მუხლის ძალა.

საცხოვრებლად კავთისხევიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ ერთი სული ჰქონდა, შაბათ-კვირა ან არდადეგები როდის დადგებოდა, რომ სოფლისაკენ გაეწია. აქ, მდინარე კავთურას სანაპიროზე, ნახერხმოყრილ სარბიელზე შეისწავლა და შეისისხლხორცა ქართული ჭიდაობის ფანდები. მეათე კლასში იყო, ქართული ჭიდაობის სექციაში რომ ჩაეწერა პირველად. კაკო ადეიშვილის ხელმძღვანელობით ხუთი წელი ეუფლებოდა ქართული ფენომენის ყველა ნიუანსს. შემდეგ ცნობილ მწვრთნელ მიხეილ თიკანაძესთან კლასიკურ ჭიდაობაში ვარჯიშობდა, 1946 წლიდან კი ვახტანგ კუხიანიძე წვრთნიდა თავისუფალში.

გამარჯვების პირველი დიდი სიხარული 1947 წელს განიცადა — საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობებში. ეს წარმატება მომდევნო წელსაც გაიმეორა. შემდეგ საკავშირო არენაზეც ისახელა თავი — 1948, 1949, და 1951 წლებში სამჯერ გაიმარჯვა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატებში, რამდენჯერმე მეორე და მესამე პრიზიორიც იყო სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზეც გაემგზავრა, როგორც სათადარიგო.

**● ბატონო გიორგი, ჩატარებული ორთაბრძოლებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

— 1948 წელს საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე ვიასპარეზე. ერთ-ერთ წრეში ახმეტელ გოლიათ გუმაშვილს უნდა შევხვედროდი. კახელმა მოჭიდავემ ჩემამდე ყველა მეტოქე წამებში დაამარცხა. იმ დღეს უხასიათოდ მივუყვებოდი ცირკისაკენ მიმავალ გზას (შერკინებები იქ იმართებოდა), აღარც მახსოვს, ტრამვაიში როგორ ავედი. წინ ანაფორიანი კაცი შემეფეთა, ჩვენი ნათესავი გაბო ჩაჩანიძე ვიცანი. ასე დაფიქრებული სად მიდიხარო, მკითხა. საქმეზე-მეთქი, ვუპასუხე. პირჯვარი გადამწერა, საითაც წახვიდე, ოთხივ მხრიდან გამარჯვებულმა იარეო, დამლოცა. იცით, მაშინ რა დრო იყო, ამიტომ მთელი გზა ახლა იმას ვფიქრობდი, ეს ანაფორიანი კაცი რამ შემახვედრა-მეთქი. ყურში მისი სიტყვები ჩამესმოდა. სარბიელზე ისე გავედი, თვალწინ სულ გაბო ჩაჩანიძე მედგა...



ამაგდარი ოსტატი სახელოვან შეგირდებთან: მარცხნიდან — როსტომ აბაშიძე, გიორგი როსტიაშვილი, იოსებ მაღალაშვილი და ზარიბეგ ბერიაშვილი.

მეტოქეს მივესალმე თუ არა, თავის უძლეველობაში დარწმუნებული, იგი ჩემკენ ხელებგაშლილი გამოექანა. წამიერად დრო ვიხელთე, მოგვერდი გავუკეთე და ეს გოლიათი თვალის დახამხამებაში ბეჭებზე გაიშოტა. დღესაც ასე მგონია, ის დაუვიწყარი გამარჯვება ღვთის შეწევნით შევძელი.

**● თქვენზე ამბობენ, ერთხელ მეტოქე ლეიბზე დააძინაო...**

— თქვენ გეღიმებათ და, მე მაშინ ერთი სიცოცხლე გავათავე. მოსკოვში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო პირველობა ტარდებოდა. ქვეჯგუფში ნოვოსიბირსკელ სპორტსმენს შევხვდი. რამდენიმე ქულა „ავართვი“ და ჩოქბჯენში რომ გადავიყვანე, კისერზე ხელის ირიბი ჩავლებით, მეტოქე ბეჭებზე დავაწვინე. მსაჯის ნიშანზე წამოვხტი თუ არა, ვხედავ, მოწინააღმდეგე არ ინძრევა. ადგილზე გავშეშდი. ციმბირელ ათლეტს ჯერ მსაჯი მივარდა, შემდეგ — მწვრთნელი და ექიმი, დახმარება აღმოუჩინეს და გონზე მოიყვანეს. თურმე ილეთის ჩატარებისას საძილე არტერიები „ჩაკეტვია“ და დასძინებია. მსგავსი შემთხვევა კიდევ ორჯერ მქონდა საქართველოს პირველობაზე...

გიორგი როსტიაშვილმა 1954 წელს აქტიურ სპორტს თავი დაანება. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობდა უფროს მასწავლებლად, თავისუფალ დროს კი მოჭიდავეებს ავარჯიშებდა.

— არაერთმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა გიორგიმ. — ყოველთვის ვცდილობდი, ახალგაზრდებისათვის ჩამენერგა საქმისა და სამშობლოს სიყვარული. დღეს ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩემი მეცადინეობით ბევრი ჭაბუკი ეზიარა სპორტს, კერძოდ კი, ჭიდაობას, და სახელმოხვეჭილი ფალავანი გახდა.

50-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ნაკრებში ყოველთვის გამოდიოდნენ გიორგი როსტიაშვილის აღზრდილები, წარმატებებსაც აღწევდნენ, მერედა, როგორ წარმატებებს! რომ არაფერი ვთქვათ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაზე (მისი მოპოვება ქართველ ფალავნებს, ტრადიციულად, უფრო უძნელდებოდათ, ვიდრე თუნდაც, მსოფლიო და ევროპის პირველობების მოგება), ბატონი გიორგის შეგირდებიდან როსტომ აბაშიძე სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი; ზარიბეგ ბერიაშვილი მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი იყო; იოსებ მაღალაშვილი სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულია; ნოდარ მოდებაძე მსოფლიო თასსა და ევროპის ჩემპიონობას ფლობდა; გივი ყვარელაშვილმა მსოფლიო თასი, მისმა ძმამ დათომ კი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა; რომან მარსაგიშვილი და გიორგი მაკასარაშვილი ევროპის პირველობის პრიზიორები არიან. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ჯუმბერ დავლიანიძემ, თენგიზ ასლამაზიშვილმა, შოთა პაპაშვილმა და სხვა ათლეტებმა. მოპოვებული ჯილდოები მწვრთნელისა და მისი შეგირდების ერთობლივი თავდადებული გარჯისა და იმის შედეგიცაა, რომ გიორგი როსტიაშვილს ალლო არასოდეს ღალატობს, თუ ერთხელ ვინმეს თავის შეგირდთა ამქარში ჩარიცხავს, მერე აღარ მოეშვება, ყოველთვის გვერდით უდგას აღსაზრდელს, მისი ცხოვრებით ცხოვრობს. არაერთხელ უთქვამს, ნამდვილი მწვრთნელი სპორტსმენისათვის მშობელივით ახლობელი, უპირველესი დამრიგებელი და მეგობარი უნდა იყოსო. მისი სიტყვა და საქმე რომ ერთია, ამიტომაც უყვართ იგი გამორჩეულად მეგობრებს, კოლეგებს, ახალგაზრდებსა და დღევანდელ აღსაზრდელებს.

ამას წინათ, ბატონ გიორგის აღზრდილებს ვკითხე, როსტიაშვილი უფრო მწვრთნელია თუ პედაგოგი-მეთქი.

— ძია გიორგის ოსტატობის ცალ-ცალკე დახასიათება წარმოუდგენელია, — მიპასუხა გივი ყვარელაშვილმა. — იგი მწვრთნელიცაა, პედაგოგიც, მეგობარიც და მასწავლებელიც, ამიტომაც ვენდობოდით, გვჯეროდა მისი. ჩვენი ურთიერთობა მარტო სპორტდარბაზით როდი იფარგლებოდა — სკოლაშიც ხშირად გვაკითხავდა და ინსტიტუტშიც, აინტერესებდა ჩვენი აკადემიური მოსწრება, ყოფაქცევა, ვისთან ვმეგობრობდით, მან ბევრი ახალგაზრდა გამოსტაცა ქუჩას.

— არ მახსოვს, ვარჯიში გაეცდინოს, — იგონებს ნოდარ მოდებაძე, — ზოგჯერ სიცხიანიც მოსულა დარბაზში. ჩვენგანაც სრული პასუხისმგებლობით ვარჯიშს ითხოვდა, სიზარმაცეს არავის აპატიებდა. მახსოვს ერთხელ უგუნებოდ ვიყავი და მეცადინეობაზე დავაგვიანე. სტადიონს 5 წრე შემოურბინეო, მითხრა. მოედანზე წასვლა დამეზარა, აქვე, ორთქლის აბანოში შევედი. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დარბაზში შევბრუნდი, შუბლზე მომსკდარი ოფლის წმენდით, ძია გიორგის მივუახლოვდი, თქვენი დავალება შევასრულე-მეთქი, ძლივს ამოვისუნთქე. მან ამხედ-დამხედა, მერე ეშმაკურად ჩაიღიმა, აბა მაჯა მაჩვენეო, მითხრა. ჩემი უხერხული ოინიც ჩაიფუშა, ხუთის მაგივრად თორმეტი წრის გარბენა მომიხდა.

რომან მარსაგიშვილი: „ძია გორასთან შეხუმრებულიც ვიყავით, მაგრამ არ მახსოვს, რომელიმე ჩვენგანს უფროს-უმცროსობის ზღვარი დაერღვიოს, ან უწმაწური სიტყვები ეხმაროს. გვიყვარდა და გვეამაყებოდა ასეთი მწვრთნელი, ცოტა გვეშინოდა კიდეც, არ დაგვეკარგა იგი. მასთან დღესაც ამგვარი სიყვარული გვაკავშირებს“.

სამოცდაათ წელს მიღწეული ამაგდარი მწვრთნელი დღესაც ხალიჩაზეა და ჭაბუკური ენერგიით ემსახურება მომავალ ჩემპიონთა დაოსტატებას. მას გვერდით უდგას უფროსი ვაჟიშვილი ვაჟა. იგი თავის დროზე ურიგო მოჭიდავედ არ ითვლებოდა, მაგრამ ნაადრევად გამოეთხოვა აქტიურ სპორტს. ინჟინრის დიპლომიანი სპეციალისტი ხალიჩას მაინც ვერ შეელია — მწვრთნელად მუშაობს. უმცროსი ვაჟიშვილი მერაბიც ინჟინერია, ჭაბუკობისას ისიც ჭიდაობდა.

**● ბატონო გიორგი, თქვენ ოთხი შვილიშვილი გყავთ, მათგან სამი ვაჟია. რომელი მიგაჩნიათ პაპის ტრადიციების გამგრძელებლად?**

— ჯერ ვერ გეტყვით. მართალია, უფროსი შვილიშვილი გიორგი თორმეტი წლისაა, მაგრამ საჭიდაო ხალიჩას მაინც არ ვაკარებ, მინდა, რომ ფიზიკურად კარგად მომაგრდეს. სამწუხაროდ, ერთი მავნე ტრადიცია დავნერგეთ, ლამის აკვნიდან დავაწყებინოთ ბავშვებს შეჯიბრებებზე გამოსვლა. ამიტომაცაა, ბევრი ნაადრევად ტოვებს სარბიელს, სწორედ იმ დროს, გაფურჩქვნის ხანა რომ ეწყება. ეს მოჭიდავეებსაც ეხებათ. რატომღაც წარმოუდგენიათ, რომ ჭიდაობას მარტო ფეხის გამოკვრა უნდა. არც ასეა საქმე. მოჭიდავე ფიზიკურთან ერთად უზარმაზარ ფსიქოლოგიურ დატვირთვასაც განიცდის, მახსოვს, 1948 წელს სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალის წინ არ მძინებია, მთელი ღამე ვფიქრობდი, რომელი ილეთი უფრო ეფექტური იქნებოდა, მეტოქე რას დაუპირისპირებდა მას, კრიტიკულ სიტუაციაში როგორ მოვიქცეოდი. ერთი სიტყვით, დილით რომ ავდექი, ოცდათვრამეტი სიცხე მქონდა. მოზარდის ფსიქიკა და ორგანიზმი ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას, ამიტომაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრ ტალანტს ვკარგავთ. ჭიდაობას და ჯილდოებს მაშინ აქვს ფასი, როცა ჭიდილში ადამიანი ფიზიკურად და სულიერად იწრთობა, რაინდი ხდება. დღეს საქართველოს სწორედ ასეთი ბიჭები სჭირდება.

**ესაუბრა ვაჟა დანელია.**

# ერთი მანდილოსანი... 95 მამაკაცის წინააღმდეგ

**კეთილშობილური** მიზანი — დახმარებოდნენ მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას — ამოძრავებდათ ნარდში თბილისის ღია ჩემპიონატის მონაწილეებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების გარდა, იასპარეზეს სტუმრებმა ესტონეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს ღია ჩემპიონატში გამარჯვებულის, ბაქოელი ფაიქ ჰუსეინოვის გამოსვლა. მის გარდა ძალებს კიდევ 95 სპორტსმენი სცდიდა, მათ შორის ერთი ქალიც — თბილისელი ნანა ხაზიური, რომელმაც თავისი ჩინებული თამაშით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

შეჯიბრება სიურპრიზებით დაიწყო. ტურნირს ნაადრევად გამოეთიშნენ საქართველოს 1990 წლის ჩემპიონი ქუთაისელი მერაბ უკლება, ევროპის წლევანდელი ზამთრის ჩემპიონატის პრიზიორი ფოთ[illegible] ემზარ ლაითაძე; ჭადრაკში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა გივი ბარბაქაძემ კი ფავორიტს — ჰუსეინოვს მოუგო.

ძირითად ტურნირში დამარცხებულს სანუგეშო შეჯიბრებაში შეეძლო გამოსვლა. ეს შანსი ჰუსეინოვსაც მიეცა, მაგრამ მან სწორედ ნანა ხაზიურს ვერ აჯობა და... მაყურებლებში გადაინაცვლა. ქალბატონმა ნანამ კი ნახევარფინალში გრძელ ნარდში საქართველოს ჩემპიონს, რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს მონარდეს, ბათუმელ ილია შანიძესაც სძლია — 15:9.

სამწუხაროდ, სუსტად ითამაშა მონტე-კარლოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ ემზარ ლაითაძემ. სამაგიეროდ, სტაბილური თამაშით გამოირჩეოდნენ ასევე მონტე-კარლოს საგზურების პრეტენდენტები — თბილისელები ნუგზარ სიკინჭილაშვილი და ნარდის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ბიძინა კიკნაძე. სიკინჭილაშვილმა მერვედფინალში რესპუბლიკის მონარდეთა რეიტინგში მესამე ნომრად დასახელებული ირაკლი სვიმონიშვილი დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში (თხუთმეტქულიან მატჩში) აგებდა შეხვედრას მერაბ ლონიშვილთან — 8:14, მაგრამ მაინც შეძლო გამარჯვება — 15:14.

მეორე ნახევარფინალში — კიკნაძე — სიკინჭილაშვილი — აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა კიკნაძემ — 15:9.

ფინალი — ნანა ხაზიური და ბიძინა კიკნაძე. 17-ქულიანი მატჩის პირველივე პარტიაში ხაზიურმა „ნოკდაუნში ჩააგდო“ მეტოქე — მან „გაორმაგებული კოქსი“ (დავი) მოიგო, რაც ესოდენ იშვიათია ნარდში და დაწინაურდა — 6:0. მალე ხაზიურმა კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში — 10:1, მაგრამ ბოლოს მამაკაცის გამჭრიახობამ მაინც თავისი გაიტანა. ბიძინა კიკნაძემ გაიმარჯვა — 17:10 და მოიპოვა თბილისის ჩემპიონის ტიტული, რაც შეეხება ნანა ხაზიურის მეორე ადგილს, დაგვეთანხმებით, ქალაქის ვიცე-ჩემპიონობა ფრიად საპატიოა მისთვის, მოულოდნელი — გულშემატკივართათვის.

სატურნირო ფონდში შემოსული თანხა — 10.000 მანეთი მთლიანად გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

საქართველოს მონარდეთა მომდევნო ტურნირი გაიმართება ივნისში, მანამდე კი საქართველოს ნაკრები გუნდი იასპარეზებს შტუტგარტში (გერმანია) „ბადენის მიწის თასის“ გათამაშებაში.

**რამინ ჟურაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია" (თბილისი) — „სანავარდო" (სამტრედია) 6:0 (4:0).**

**თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 16 მაისი.**

**„იბერია": ჩხეიძე (ჩლაიძე), არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი (ნემსაძე), რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, ჯამარაული (ინალიშვილი), ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი.**

**„სანავარდო": გამყრელიძე, კოხრეიძე, ტონია, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოზაძე, ვ. ბრეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.**

**მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), ლ. რაზმაძე (გორი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).**

„იბერიამ" პირველსავე ტაიმში „მოითავა" საქმე: მიხეილ ყაველაშვილმა (მე-13, 21-ე და 36-ე წუთებზე) და თემურ ქეცბაიამ (28) 4 „უპასუხო" ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში, ოთხივე მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებით და ოთხივე საჯარიმო მოედნის ცენტრიდან, რაც უმთავრესად გია ჯიშკარიანის დამსახურებაა (2 ბურთის „თანაავტორიც" ის გახლავთ). ჯიშკარიანმა მარცხენა ფრთიდან მოპყვენება დაუკარგა სამტრედიელთა მცველებს და მისმა შეთანხმებულმა მოქმედებამ ქეცბაიასთან და რევიშვილთან მოედნის შუაგულის სრული ბატონ-პატრონები გახადა იბერიელები, ამიტომაც იყო, რომ პირველ ტაიმში თბილისელთა კართან რაიმე, თუნდაც ნაკლებსახიფათო მომენტი არ შექმნილა.

სტუმრები მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისში, დაახლოებით 15 წუთს გამოცოცხლდნენ. ბადრი ბრეგვაძეს, დავით ნოზაძეს და ვეტერან დურმიშხან თვალაბეიშვილს შეეძლოთ კიდეც გოლის გატანა, მაგრამ მასპინძელთა მცველები და მეკარე ნიკა ჩხეიძე უშეცდომოდ თამაშობდნენ.

„სანავარდოს" შეტევები მცირე ხანს გაგრძელდა და „იბერიამ" ისევ დაიბრუნა ინიციატივა, რაც შეხვედრის საბოლოო ანგარიშშიც აისახა — 6:0. ჯერ 70-ე წუთზე გელა ინალიშვილის მიერ შორი მანძილიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი ვერ მოიგერია კახაბერ გამყრელიძემ, მატჩის უკანასკნელ წუთზე კი კახი ცხადაძის უზადო გრძელი პასი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მიიღო ზაზა რევიშვილმა, გვერდი აუარა მცველს და მეექვსე გოლი გაიტანა.

ერთადერთი, რითაც „სანავარდომ" თავი გამოიჩინა, ის იყო, რომ 65-ე წუთზე კახი გოგიჩაიშვილის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია გამყრელიძემ.

ამ დღეს იბერიელები მეტოქეებზე ბევრად უკეთესად თამაშობდნენ, ყველა ფეხბურთელმა უშეცდომოდ ჩაატარა შეხვედრა, ხოლო სამტრედიელთა გუნდისთვის კი ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გამოსვლა იყო წლევანდელ სეზონში.

**ლევან ჯავახიშვილი**

**„გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:1 (0:1).**

**ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 16 მაისი.**

**„გურია": ქანთარია, ტყებუჩავა, ჩხაიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე, მეგრელაძე (კვინტრაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.**

**„კოლხეთი": ბაბუაძე, გვასალია, კაციტაძე, შურღაია, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გოგაძე, პიმუშინი, კალუა (ხურცილავა).**

**მსაჯები: ლ. ჩიტაია (თბილისი), ა. ხამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).**

შეხვედრის მეორე წუთზე ლანჩხუთელთა კართან კუთხური დაინიშნა. მცველებმა შეძლეს მოეგერიებინათ ბურთი, რომელსაც გოგუაძემ მიუსწრო და დააწინაურა „კოლხეთი" — 1:0. ამის შემდეგ ცოტა ხნით თამაში გათანაბრდა, მერე კი ინიციატივას მთლიანად „გურია" დაეუფლა, მაგრამ, სტუმართა კართან შექმნილი არაერთი სახიფათო მომენტის მიუხედავად, პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმში „გურია" მტკიცედ ფლობდა ინიციატივას, რაც ოთხ გატანილ ბურთშიც აისახა. 55-ე წუთზე კორღალიძემ დაახლოებით 35 მეტრი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ზუსტად ორი წუთის შემდეგ მასპინძლების სწრაფად გათამაშებულ კომბინაციას მეორე გოლი მოჰყვა — კორღალიძის ჩინებული გადაცემის შემდეგ უგრელიძე „ღია დერეფანში" აღმოჩნდა და ზუსტადაც დაარტყა. სტუმრების იშვიათი კონტრშეტევები „გურიის" კარს არავითარ ხი-



„იბერია" — „სანავარდო".
ა. კოტორაშვილის ფოტო.

ფათს არ უქმნიდა. მესამე ბურთი ლანჩხუთელებმა თერთმეტმეტრიანით გაიტანეს: მცველებმა უხეშად ითამაშეს კვინტრაძის წინააღმდეგ და კორღალიძემ სამამდე გაზარდა ანგარიში. მატჩის ბოლო წუთზე ფრიდონაშვილი გასცდა რამდენიმე მცველს, ჩააწოდა კარის გასწვრივ და უგრელიძემ თავისი მეორე ბურთი გაიტანა — 4:1.

**გოჩა ვახაძე,**
**„ლელოს" კორ.**

**„ქუთაისი" (ქუთაისი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 4:0 (1:0).**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 მაისი.**

**„ქუთაისი": ხელაძე, წიქარიშვილი, კ. წივწივაძე (თევზაძე), ბზიკაძე, სუხიაშვილი, ნადირაძე, შენგელია, ხუნდაძე, მაღლაკელიძე (მანაგაძე), დარასელია, ფაიქიძე.**

**„მერცხალი": ზოიძე, ცერცვაძე, მუავანაძე, ხამაშურიძე, ტუღუში, ჩხაიძე (ბ. წივწივაძე), კაშია, ავალიანი, ჩიგოგიძე, ბარამიძე, ხალუქვაძე (კალანდაძე).**

**მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. ხანაია (ორივე — სოხუმი), ი. აბაიაძე (გორი).**

პირველ ტაიმში ოზურგეთელები მთელი გუნდით იცავდნენ თავს. მასპინძლებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ დიდი სათამაშო უპირატესობის რეალიზება. აშკარა საგოლე სიტუაცია „მერცხალის" კართან ორჯერ შეიქმნა. ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია — 25-ე წუთზე ზოიძემ ზედიზედ მოიგერია სუხიაშვილისა და ხუნდაძის სახიფათო დარტყმები. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, იგი სტუმართა კარის აღებით დამთავრდა: 45-ე წუთზე დარასელიამ მოხდენილი დარტყმით კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. ამან სტუმრები აიძულა თავდასხმაზეც ეფიქრათ, რამდენიმე ფეხბურთელი წინაც წასწიეს, მაგრამ სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს ქუთაისელებმა — მეორე ნახევარში მასპინძელთა ყოველი იერიში სახიფათო იყო. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მანაგაძე სამჯერ გავიდა ზოიძესთან პირისპირ, მაგრამ მის დარტყმებს სიზუსტე აკლდა. 63-ე წუთზე ფაიქიძე დარჩა მარტოდმარტო მეკარესთან, მაგრამ ვერც მან იყოჩაღა, თუმცა ორი წუთის შემდეგ გამოასწორა შეცდომა და ორამდე გაზარდა ანგარიში. 67-ე და 70-ე წუთებზე ოზურგეთელთა კარი კვლავ გადაურჩა აშკარა საფრთხეს — ამჯერად დარასელიას და ფაიქიძეს მოეცარათ ხელი.

ქუთაისელთა იერიშებს თვლა არ ჰქონდა. 75-ე წუთზე მანაგაძე-ფაიქიძე-ხუნდაძის ლამაზი კომბინაცია უკანასკნელმა მესამე გოლით დააგვირგვინა. 84-ე წუთზე კი ფაიქიძემ საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს — იგი მეკარესთან პირისპირ დარჩა და თავისი მეორე ბურთი გაიტანა.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს სტუმრებმა უბრძოლველად დათმეს შეხვედრა. შესვენების შემდეგ ისინიც აქტიურობდნენ, მაგრამ ამ თამაშში ფორტუნამ ზურგი აქცია მათ — მე-60 და 78-ე წუთებზე კაშიასა და ჩიგოგიძის ძლიერი დარტყმები ქუთაისელთა კარის ძელმა „მოიგერია". „მერცხალი" ზედიზედ მესამედ დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობაც გაირთულა.

**იუზა კაციტაძე,**
**„ლელოს" კორ.**

**„გორდა" (რუსთავი) — „დილა" (გორი) 2:3 (1:1).**

**თბილისი. „შევარდენის" სტადიონი. 16 მაისი.**

**„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი (ბურნაძე), კუდინოვი, ლობჟანიძე, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მეტრეველი.**

**„დილა": ჰანტურია, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, მიქელაძე, დალაქიშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი (ბალაბანოვი), ხორგუაშვილი, ნეფარიძე (თარხნიშვილი).**

**მსაჯები: მ. ჰელიძე (თბილისი), რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (ორივე — გაგრა).**

რუსთავის „ფოლადის" სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო „გორდამ" „შევარდენის" სტადიონზე მიიღო მეტოქე და თამაშიც აქტიურად დაიწყო, რასაც „დილას" ფეხბურთელებმა კონტრშეტევები დაუპირისპირეს. გორელებმა უკვე მე-5 წუთზე შექმნეს სახიფათო მომენტი — მარეხაშვილის დარტყმული ბურთი „გორდას" მეკარემ მოიგერია. თავის მხრივ, მე-10 წუთზე „მასპინძელთა" შეტევისას თორლაშვილმა სტუმართა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ფანცულაია, რომელმაც დააწინაურა კიდეც რუსთაველები — 1:0.

„გორდას" კიდევ შეეძლო მეტოქის კარის აღება, მაგრამ კილასონიას მიერ საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე ჰანტურიამ. გორელთა შეტევა 30-ე წუთზე კი იმით დამთავრდა, რომ მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. გოლი გაქვითა ნეფარიძემ, რომელიც ამ მატჩში გორელთა შეტევების ორგანიზატორად მოგვევლინა. პირველი ნახევრის ბოლომდე და მეორე ტაიმშიც „დილას" უპირატესობა აშკარა იყო.

49-ე წუთზე კონდრატიევის მიერ აუტიდან მოწოდებული ბურთი ნეფარიძემ ოსტატურად გაატარა, მიქელაძემ კი ახლო მანძილიდან თავით გაგზავნა „გორდას" კარში 1:2.

65-ე წუთზე მარლიშვილის მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო მარეხაშვილმა და მესამედ აიღო „გორდას" კარი. ცხრა წუთის შემდეგ მას კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ „მასპინძლები" ზედა ძელმა იხსნა.

77-ე წუთზე რუსთაველთა შეტევისას გორელები დაჯარიმდნენ. თორლაშვილის მიერ კარისკენ დარტყმულ ბურთს მიუსწრო ფანცულაიამ და მეორე ბურთი გაიტანა ამ მატჩში 2:3.

**რამინ უურაშვილი**

• • •

**ამ ტურის დანარჩენი მატჩების მიმოხილვას გაგაცნობთ „ლელოს" მომდევნო ნომერში.**

# რა ისმის უცხოეთიდან?

## 4:1 — პოპულარული ანგარიში

ნბა-ს ჩემპიონატში მოასპარეზე ოთხი წყვილიდან სამმა უკვე დაამთავრა „პლეი-ოფის" მეოთხედფინალური სერიის მატჩები. ბრძოლას განაგრძობენ მხოლოდ „დეტროიტ პისტონსისა" და „ბოსტონ სელტიქსის" კალათბურთელები. აქ ანგარიშია 3:2 „დეტროიტის" — ნბა-ს ამჟამინდელი ჩემპიონის სასარგებლოდ.

რამდენიმე სიტყვა იმათზე, ვინც უკვე დაამთავრა მეოთხედფინალური შეხვედრები:

**„ჩიკაგო ბულსი" — „ფილადელფია-76" 4:1.**

ფილადელფიელმა კალათბურთელებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მეტოქეს მხოლოდ ორ მატჩში გაუწიეს. სხვა შეხვედრებში ჩიკაგოელთა უპირატესობა უდავო იყო. ისინი ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში ერთობ რეალურ ძალას წარმოადგენენ. გთავაზობთ მეოთხედფინალური სერიის ყველა მატჩის შედეგს ამ გუნდებს შორის:

4 მაისი. 105:92
6 მაისი. 112:100
10 მაისი. 97:99
12 მაისი. 101:85
14 მაისი. 100:95

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „გოლდენ სტეიტ უორიორსი" 4:1.**

5 მაისი. 126:116
8 მაისი. 124:125
10 მაისი. 115:112
12 მაისი. 123:107
14 მაისი. 124:119

**„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" — „იუტა ჯაზი" 4:1.**

7 მაისი . 117:97
9 მაისი. 118:116
11 მაისი. 101:107
12 მაისი. 104:101
14 მაისი. 103:96

**„დეტროიტ პისტონსი" — „ბოსტონ სელტიქსი" 3:2.**

პირველ მატჩში გამარჯვების შემდეგ „დეტროიტმა" ორი შეხვედრა წააგო ზედიზედ და მისი პერსპექტივა საეჭვო გახდა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 13 და, განსაკუთრებით, 15 მაისის გამარჯვებებს, რომელთა შემდეგ „დეტროიტი" ამ ხუთრაუნდიან ბრძოლაში დაწინაურდა. გუშინ „ბოსტონი" მეტოქეს შინ იღებდა. გამარჯვების შემთხვევაში მეშვიდე ორთაბრძოლას იგი დეტროიტში ჩაატარებს, რაც შარშანდელ ჩემპიონს საერთო გამარჯვების გარკვეულ შანსს მისცემს.

7 მაისი. 86:75
9 მაისი. 103:109
11 მაისი. 83:115
13 მაისი. 104:97
15 მაისი. 114:111

გამოცხადდა პირველი ნახევარფინალური წყვილის (დასავლეთის კონფერენცია) „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" შეხვედრათა კალენდარი: 18, 21, 28 მაისს და 1 ივნისს მეტოქეები ლოს-ანჯელესში ითამაშებენ, 24, 26 და 30 მაისს — პორტლენდში.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მსოფლიოს ნაკრები — იტალიის ნაკრები

იტალიის ქალაქ კრემონეზეში 28 მაისს გაიმართება საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მსოფლიოსა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი ეძღვნება ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის ანტონიო კაბრინის სპორტული კარიერის დასასრულს. საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ გუნდების შემადგენლობები უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.

## 20 დაჭრილი, 200 დაპატიმრებული

სტამბულში გაიმართა თურქეთის ცნობილი საფეხბურთო კლუბების „ბეშიქთაშისა" და „ფენერბახჩეს" შეხვედრა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ბეშიქთაშმა", რომელმაც გაინაღდა კიდეც თურქეთის ჩემპიონის წოდება.

როგორც კი დამთავრდა თამაში, ტრიბუნებზე ატყდა ულმობელი ხელჩართული ბრძოლა მეტოქე გუნდების გულშემატკივრებს შორის. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც გაჭირვებით დააშოშმინა დებოშიორები. დაიჭრა 20 კაცი, 200 დაპატიმრებულია.



**შოტლანდია.** ქვეყნის ჩემპიონობა ორმოცდამეერთედ მოიპოვა „გლაზგორ რეინჯერსმა", რომელმაც შინ გადამწყვეტი მატჩი მოუგო „აბერდინს" — 2:0. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია „სელტიკის" თავდამსხმელი თომას კოინი — 18 ბურთი.

შოტლანდიის უმაღლესი ლიგის შემადგენლობა 1992 წლიდან გაიზრდება. ლიგას წლეულს არავინ დატოვებს. გუნდების რიცხვი მოიმატებს 12-მდე.

**ბელგია.** გამოვლინდა ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა გათამაშების დამთავრებამდე კიდევ ორი ტური დარჩა. ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ანდერლეხტმა", რომელმაც „მოლენბეკთან" შეხვედრაში გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

**საფრანგეთი.** ოქროს მედლების პრეტენდენტი „მარსელი", რომელიც „მონპელიესთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ (0:0), ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, 3 ქულით უსწრებს „მონაკოს". მესამე ადგილზეა „ოსერი".

ბომბარდირთა დავაში კვლავინდებურად წინაა ჟან-პიერ პაპენი („მარსელი"), რომელმაც 23 ბურთი გაიტანა.

## ცვლიან მწვრთნელს

გამოცხადდა, რომ ბელგიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გი ტისი ტოვებს თავის პოსტს. 1 აგვისტოდან მის ადგილს დაიკავებს განთქმული ბელგიელი ფეხბურთელი, 47 წლის პოლ ვან ჰიმსტი. თვით გი ტისი იმუშავებს ახალგაზრდა ფეხბურთელთა მეთვალყურედ და სელექციონერად.

## პირველი ბილეთი — პრეზიდენტს

6-22 ივლისს ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გაიმართება სამხრეთ ამერიკის ეროვნული ნაკრები გუნდების ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

ფეხბურთელთა ამ დიდი შეჯიბრების პირველი ბილეთი შეიძინა ჩილეს პრეზიდენტმა პატრისიო ეილვინმა.

## მეოთხე ოპერაცია

ცნობილმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა რუუდ გულიტმა, რომელიც იტალიის „მილანში" გამოდის, ახლახან მეოთხედ გაიკეთა მუხლის ოპერაცია. იგი ორი თვით გამოეთხოვა ფეხბურთს.

**საბერძნეთი.** „პანათინაიკოსის" ფეხბურთელებმა ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ფრედ დაამთავრეს მატჩი „ლარისასთან" — 3:3 და 49 ქულით პირველი ადგილი გაინაღდეს. ლიდერს 7 ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე მყოფი „ოლიმპიაკოსი", რომელმაც სტუმრად წააგო „დოქსასთან" — 2:3. ამასობაში აეკ-მა შინ ანგარიშით 3:2 მოუგო „პანახაიკისს" და ახლა მეორე ადგილს ეცილება „ოლიმპიაკოსს".

## მეთექსმეტე სვეტი

● **ერთ დროს** მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა, ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გაკვრით აღნიშნა, რომ შესაძლოა თავი დაანებოს სპორტს. ახეთი გადაწყვეტილება მან მიიღო ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირზე, როცა ერთ-ერთი შეხვედრის დროს Jსაჯმა ჯერი არმსტრონგმა ორჯერ გააფრთხილა არასპორტული საქციელისთვის.

გაფრთხილებებს ეს ჩოგბურთელი თითქოს შეჩვეული უნდა იყოს, მაგრამ ახაკი, ეტყობა, თავისას შვრება და 32 წლის მაკინროუ სულ უფრო ადვილად და ხშირად ღიზიანდება. მაკინროუ, მისივე განცხადებით, უკმაყოფილოა თავისი თამაშითაც და ალბათ ამის გამო უფრო აპირებს ჩოგბურთიდან წასვლას, — ასკვნის ფრანს პრესის კორესპონდენტი.

● **გაზეთ** „ტორონტო სტარის" ცნობით, კანადურმა ფირმამ „ჩეპმენმა" დაამზადა და ბაზარზე გასაყიდად გაიტანა საჭადრაკო კომპიუტერი. ამასთან დაკავშირებით სარეკლამო განცხადებაში ნათქვამია: „თუ ელექტროგამომთვლელი მანქანის დახმარებით დილიდანვე დაიწყებ ვარჯიშს, საღამოს შესაძლოა თვით ანატოლი კარპოვს აჯობო". ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ რედაქციამ ერთ-ერთი მკითხველისაგან მიიღო პასუხი: „მართალია, ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მაგრამ კარპოვის დამარცხება ერთობ არარეალურ პერსპექტივად მეჩვენება. „ჩეპმენთან" გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ მოვახერხე ის, რომ დავამარცხე საკუთარი ცოლი, რომელმაც ჭადრაკის თამაში ჩემს მერე ისწავლა".

● **ავსტრალიელმა** პიტერ ბრედმა გადაწყვიტა გადაცუროს წყნარი ოკეანე ჩვეულებრივი ნავით. ჟურნალისტებმა გაბედულ მოგზაურს ჰკითხეს:

— რაზე იფიქრებთ უაღრესად ერთფეროვანი და სახიფათო ორასდღიანი მარტოობის დროს?

— იმაზე, თუ როგორ ვიშოვო სამუშაო. ორი წლის წინ დავამთავრე უნივერსიტეტი ინჟინერ-კიბერნეტიკოსის სპეციალობით და მას შემდეგ კარდაკარ დავდივად სამსახურის ძიებაში.

● **ინგლისის** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბი „არსენალი" წლეულს მეათედ დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტულს. ამასთან დაკავშირებით გულშემატკივრებმა გრანდიოზული ზეიმი მოაწყვეს ლონდონში ისლინგტონის კვარტლის მთელ ტერიტორიაზე.

სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის 200 ათასზე მეტმა ფანატიკოსმა გულშემატკივარმა. ინგლისის დედაქალაქის პოლიცია, ცხადია, ფეხზე დადგა და გაათკეცებული ენერგიით იცავდა წესრიგს. სხვათა შორის, პრესა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამ დღეს ლონდონში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორ გაძარცვულ მაღაზიას) და დემონსტრანტები საღამოს დადგომისთანავე დაიშალნენ.

● **ბუშინ** სეულში (სამხრეთ კორეა), ლოს-ანჯელესში (აშშ) და ჰავანაში (კუბა) ერთდროულად დაიწყო ფრენბურთის მსოფლიო ლიგის მეორე გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. ასპარეზობის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველში მოხვდნენ სამხრეთ კორეის, იტალიის, იაპონიის, აშშ-ს და სსრკ-ს გუნდები. მეორეში — ბრაზილიის, ჰოლანდიის, კანადის, კუბისა და საფრანგეთის ფრენბურთელები. შეგახსენებთ, რომ პირველი ანალოგიური გათამაშება მოიგო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა იტალიის ნაკრებმა.

# ეს ტრადიციული „როლან გაროსი"

ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ლელა მესხი სულ მალე ჩაებმება საფრანგეთის ღია ჩემპიონატში — მეტად პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ჩოგბურთის სამყაროში „როლან გაროსს" უწოდებენ. ეს შეჯიბრება მიეკუთვნება „დიდი მუზარადის" ასპარეზობათა რიცხვს. დანარჩენი სამი ტურნირი კი, მოგეხსენებათ, გახლავთ ავსტრალიის, ინგლისის („უიმბლდონი") და აშშ-ის („ფლეშინგ მედოუ") ღია პირველობები.

**ვინ** იყო როლან გაროსი, ვისი სახელიც ეწოდა ამ ტურნირს? იგი გამოჩენილი ფრანგი მფრინავია, პირველი მსოფლიო ომის გმირი. 1910 წელს დაამყარა სიმაღლეზე ფრენის რეკორდი, 1913 წელს კი განსაკუთრებით პოპულარული გახდა — ხმელთაშუა ზღვას გადაუფრინა საფრანგეთიდან ტუნისამდე. დღეისათვის ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევა არ არის, მაგრამ იმ ხანად, როცა როლან გაროსის თვითმფრინავის „მორან-სოლნიეს" ძრავას მხოლოდ 60 ცხენის ძალა ჰქონდა, პილოტის წარმატება მართლაც უნიკალური იყო. როგორც კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, როლანი მოხალისედ წავიდა საფრანგეთის არმიაში. აქ იგი საინტერესო გამოგონების ავტორი გახდა: საკუთარი ხელით დამზადებული ტყვიამფრქვევი ჩაამაგრა პროპელერში, საიდანაც მარჯვედ ისროდა. 1918 წელს სახელოვანი მფრინავი ბრძოლაში დაიღუპა.

ცხადია, საინტერესოა, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას საფრანგეთის ღია ჩემპიონატთან. ახლავე მოგახსენებთ: 1928 წელს გადაწყდა, პარიზში აშენებულიყო დიდი საჩოგბურთო სტადიონი. ფრანგული კლუბი „სპორინგი" დათანხმდა დაეთმო ამისთვის თავისი ტერიტორიის ნაწილი, მაგრამ წამოაყენა ერთი პირობა — აუცილებლად ეწოდებინათ ახალი ნაგებობისთვის როლან გაროსის სახელი. წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არავინ იყო. 1988 წელს კი აღინიშნა 100 წელი როლან გაროსის დაბადებიდან.

საფრანგეთის პირველობები ვაჟთა შორის 1891 წლიდან იმართება. სწორედ აქ გამოიჩინეს თავი „მუშკეტერებად" წოდებულმა ფრანგმა ჩოგბურთელებმა: ანრი კოშემ, რენე ლაკოსტმა, ჟან ბოროტრამ და ჟაკ ბრიუნიონმა.

დიდ წარმატებებს მიაღწია „როლან გაროსის" ასპარეზობებში განთქმულმა შვედმა ბიორნ ბორგმა, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, სულ ახლახან განაახლა გამოსვლები. მან გაიმარჯვა 1974, 1975, 1978, 1979, 1980 და 1981 წლებში. აქ სხვადასხვა დროს თავი გამოიჩინეს კენ როზუოლმა (ავსტრალია), ილიე ნასტასემ (რუმინეთი), იან კოდეშმა (ჩეხოსლოვაკია), როდ ლეივერმა (ავსტრალია), ნიკოლა პეტრანჯელიმ (იტალია), მანუელ სანტანამ (ესპანეთი), მატს ვილანდერმა (შვეცია), ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია)...

ძალზე პრესტიჟულად ითვლება „როლან გაროსის" ქალთა ტურნირიც. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იგი საერთაშორისო შეჯიბრება გახდა. 1920 წელს კორტზე გამოჩნდა მეტად ნიჭიერი ფრანგი სიუზან ლენგლენი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ერთ თავისებურ რეკორდს — ზედიზედ შვიდჯერ გაიმარჯვა ერთეულთა შეჯიბრებაში. ამერიკელმა ჰელენ უილს-მუდიმ ხუთჯერ ისპარეზა პარიზში და ოთხჯერ გაიმარჯვა. ამდენჯერვე გაიმარჯვა „როლან გაროსის" ტურნირებში ცნობილმა ავსტრალიელმა ოსტატმა მარგარეტ სმიტ-კორტმა. სხვადასხვა დროს ლაურეატები იყვნენ ივონ გულაგონგი, ბილი-ჯინ კინგი, ჰანა მანდლიკოვა, მარტინა ნავრატილოვა. სხვათა შორის, ნავრატილოვამ წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა — გადაწყვიტა უკეთ მოემზადოს უიმბლდონისთვის (ეს შეჯიბრება კი, ტრადიციულად, ივნისის მესამე ორშაბათს იწყება).

განსაკუთრებით საზეიმოა ტურნირის გახსნის ცერემონიალი. ორგანიზატორები საამისოდ იწვევენ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მსახიობებს, სპორტსმენებს. 1988 წელს, როლან გაროსის დაბადების 100 წლისთავზე, მონაწილეთა წილისყრა ჩაატარა ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ. შეჯიბრებას ემსახურება, არც მეტი, არც ნაკლები, 1673 კაცი, მათ შორის — 300 კონტროლიორი, 180 ბურთის მომწოდებელი, 25 მოლარე, 330 მსაჯი, 250 კვების სისტემის მუშაკი, 50 მძღოლი (45 მანქანა), 15 დარაჯი, 60 თანამშრომელი (რომლებიც მოასპარეზეთა მიღებასა და დაბინავებას ემსახურებიან), 50 დამლაგებელი და ა. შ.

ერთი სიტყვით, ეს არის დიდი სპორტული ზეიმი, რომელსაც ბოლო წლებში 800-მდე ჟურნალისტი ესწრება.

გარდა დიდი ჰონორარებისა, მონაწილეებს სხვადასხვა პრიზებითაც აჯილდოებენ. ერთ ასეთ პრიზს „ფორთოხალი" ჰქვია, იგი გადაეცემა ჩოგბურთელს, რომელიც კორტზე გამოირჩევა ნამდვილი ჯენტლმენობით და... პრესასთან კარგი დამოკიდებულებით. ეს პრიზი 1980 წელს დაწესდა და ქალთაგან მარტინა ნავრატილოვას მიეკუთვნა. ვაჟებიდან იგი სხვადასხვა დროს მიენიჭათ ბიორნ ბორგს, ივან ლენდლს, იანიკ ნოასა და სხვებს. არის სრულიად საპირისპირო „ჯილდოც" — „ლიმონი", რომელიც მიეკუთვნება იმას, ვინც კორტზე არაკორექტულად იქცევა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „ლიმონი" არავის „მიენიჭოს". ეს, ცხადია, მაშინ ხდება, როცა ყველა მონაწილე ჯენტლმენურად იქცევა. გარდა ამისა, დაწესებულია სპეციალური პრიზი „კოკორი", რომელიც ეძლევა ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიულ ჩოგბურთელს. ეს ჯილდო პირველად ამერიკელ მაიკლ ჩანგს გადაეცა.

„როლან გაროსის" სარბიელი არსებითად განსხვავდება, ვთქვათ, იგივე უიმბლდონისაგან, სადაც ჩოგბურთელები ერთმანეთს ხვდებიან ბალახის კორტებზე, აქ კი მიწის, უფრო სწორად, ქვიშის კორტებია, და გასაგებია, აქ სულ სხვა თამაშია საჭირო.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ღია ჩემპიონატი საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური შეჯიბრებაა და, როგორც ყოველთვის, უძლიერეს შემადგენლობას უყრის თავს.

# ყველაზე „ძვირი" მატჩი

**მოგეხსენებათ,** ამას წინათ, 19 აპრილს, გაიმართა მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა — ევანდერ ჰოლიფილდისა და ჯორჯ ფორმენის მატჩი, რომლის თაობაზე ატეხილი აყიოტაჟის ერთ-ერთი მიზეზი მეტოქეთათვის დაწესებული ჰონორარი გახლდათ. გამარჯვებულ სპორტსმენს 20 მილიონი დოლარი ეძლეოდა, დამარცხებულს კი — 12,5 მილიონი. ე. ი. ჰოლიფილდი და ფორმენი ერთად 32,5 მილიონ დოლარს მიიღებდნენ!

ბევრმა იჩქარა და პროფესიულ კრივის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული უწოდა ამ შეხვედრას, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. 1987 წლის 6 აპრილს ლას-ვეგასის (აშშ) სასტუმრო „ცეზარ პალასის" დარბაზში გაიმართა ორთაბრძოლა, რომლის მონაწილეებმა უფრო მეტი თანხა მიიღეს, ვიდრე ჰოლიფილდმა და ფორმენმა. საოცარიც სწორედ ისაა, რომ ამ მატჩის მონაწილენი არ იყვნენ ესოდენ პრესტიჟული — მძიმე წონის წარმომადგენლები.

იმ საღამოს რინგზე გამოვიდნენ პირველი საშუალო წონის მოკრივეები: მარვინ ჰაგლერი, მეტსახელად „დიდებული მელოტი" და რეი ჩარლზ ლეონარდი, მეტსახელად „შაქარი" (შუგარ).

იმჟამინდელი 33 წლის მსოფლიო ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში მარვინ ჰაგლერი ამ წოდებას 10 წელი ფლობდა. პროფესიულ რინგზე მან 62 ორთაბრძოლა გამართა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი რეი ლეონარდი პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ ექვს წელიწადში მსოფლიო ჩემპიონი გახდა პირველ და მეორე ქვესაშუალო წონებში. 1982 წელს იძულებული გახდა მიეტოვებინა რინგი თვალის მძიმე ტრავმის გამო და ხუთი წლის მანძილზე ასპარეზობებს არ გაჰკარებია. და აი, სპორტში დაბრუნებისთანავე მან „ხელთათმანი გადაუგდო" ჰაგლერს, რათა



დაუფლებოდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მესამე წონაში. კრივის სამყარო უჩვეულო აყიოტაჟმა მოიცვა. ჰაგლერი ბრძოლისათვის იღებდა 12 მილიონს, ლეონარდი კი — 11-ს. კიდევ 10 მილიონი გაიღო ტელევიზიამ, რომელმაც 75 ქვეყნის ტელეკამპანიებს მიჰყიდა ტრანსლაციის უფლება. საბოლოოდ ორივე მოკრივემ მიიღო 33 მილიონი დოლარი, რაც ნახევარი მილიონით აღემატება ჰოლიფილდისა და ფორმენის საერთო ჰონორარს. 12-რაუნდიან ორთაბრძოლაში ქულებით გაიმარჯვა რეი ლეონარდმა. ჯერჯერობით სწორედ ეს მატჩი გახლავთ ყველაზე „ძვირი" პროფესიული კრივის ისტორიაში.

მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, თუ მაიკ ტაისონი წელს მეორედ დაამარცხებს კანადელ რედოკს, მაშინ ჰაგლერისა და ლეონარდის „რეკორდი" მოიხსნება, ვინაიდან შემდგომ მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ერთმანეთის პირისპირ უნდა დადგნენ ჰოლიფილდი და ტაისონი. უკვე ახლავე ასახელებენ ასტრონომიულ ჰონორარს, რომელსაც მოკრივეები მიიღებენ, მენეჯერთა ვარაუდით, გამარჯვებულმა უნდა მიიღოს 25 მილიონი, დამარცხებულმა კი 20 მილიონი დოლარი.

**ზურაბ ტაბატაძე**

**სურათზე:** „დიდებული მელოტი" — მარვინ ჰაგლერი.

ფოტო ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ჟურნალ „სტარტიდან".

## ჩემპიონიც, აღმზრდელიც

„ფორმულა-1" ავტორბოლებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა და სამი ვაჟიშვილის მამამ, ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ ოთხი უპატრონო ბავშვი აიყვანა აღსაზრდელად. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაიღებს მათ აღზრდასთან და სწავლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს, სანამ სრულწლოვანები გახდებიან, შემდეგ კი ცხოვრებაში საკუთარი გზის პოვნაშიც დაეხმარება.

## ამერიკელთაგან პირველი

„სალივენის პრიზი", დაწესებული ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო მოყვარული ათლეტისათვის, გადაეცა თავისუფალი სტილის მოჭიდავეს ჯონ სმითს. ეს ჯილდო სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ ოთხჯერ მოპოვებისათვის ერგო. ამგვარი ტრიუმფი ჯერ არც ერთ ამერიკელ ფალავანს არ ღირსებია.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ალპინიზმის ფედერაცია, ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიური კლუბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, „კლდის ვეფხვად" წოდებული

**იოსებ (ერმინე) კახიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 19 მაისს, 15 საათზე, ალპიური კლუბის შენობიდან (ვერის ბაღი).

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ქიქინაძე. კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
[illegible]
[illegible] — 93-97-54
[illegible] — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
68435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20